განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.11.2017

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13.12.2017

თბილისი
2017

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული მევენახეობა-მეღვინეობა |
| განათლების საფეხური | პირველი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი 01 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მანანა კევლიშვილი, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ტიტვინიძე ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ჩიტაშვილი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლადო უზუნაშვილი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2017 წლის 22 ნოემბერს შედგა ექსპერტთა ვიზიტი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის ,,ქართული მევენახეობა- მეღვინეობა'' ექსპერტიზისათვის.

შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი სილაბუსებით და დოკუმენტაციით. შედგა ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ძირითად და მოწვეულ პერსონალთამ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღწერის. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული კადრის მომზადებას.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის სასურველი იქნება შეიქმნას დამოუკიდებელ მრჩეველთა საბჭო, რომელიც დროდადრო წარმოადგენს რჩევებს პროგრამის დახვეწასთან დაკავშირებით, როგორც სხვადასხვა საგნის, ასევე პროგრამის როგორც ერთიანის მიმართულებით.
2. ექსპერტთა ჯგუფის ერთობლივი რჩევაა ქიმიის მიმართულებით გაძლიერდეს ლაბორატორიული სამუშაოები, კონკრეტულად ანალიზური ქიმიის ლაბორატორიის საათები გაიზარდოს მინიმუმ ერთი საათით.
3. სასურველია ანალიზურ ქიმიას დაემატოს მას-სპექტრომეტრიის და ბირთვულ მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპიის საფუძვლები. ამ რჩევის გათვალისწინების გარეშე შესაძლებელია პროგრამა შედეგებზე გავიდეს.
4. სასურველია ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის საკითხების დამატება ანალიზური ქიმიის საგანში ან შესაძლებლობის შემთხვევაში ცალკე საგნად დამატება.
5. ვინაიდან ბევრი საბუნებისმეტყველო საგანი დგას ფიზიკის საფუძვლებზე, სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო ფიზიკის დამატება. ფიზიკის სასწავლო კურსის დამატების გარეშე შესაზლებელია პროგრამა გავიდეს შედეგზე.
6. თუ უნივერსიტეტში შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, სასურველია მასში წარმოდგენილი იყოს მოწინავე ქვეყნების ექსპერტები, როგორც აკადემიური სფეროდან, ასევე ინდუსტრიიდან.

7. სასურველია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაძლიერება, რაც გულისხმობს კოლაბორაციას მეტ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან.
8. სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს მეტად მკაფიო ხედვა აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის
9. სასურველია მოძიებულ იქნას ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის სავალდებულო თანამედროვე ლიტერატურა; შეიქმნას რიდერები ან მოხდეს თარგმნა უცხოენოვანი ლიტერატურის.
10. სასურველია სტუდენტების დიდი ნაწილი იყოს მეტად ინფორმირებული უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემის შესახებ.
11. სასურველია მოძიებულ იქნას ზოგიერთი სასწავლო კურსისათვის სავალდებულო თანამედროვე ლიტერატურა; შეიქმნას რიდერები ან მოხდეს თარგმნა უცხოენოვანი ლიტერატურის.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

| 1.1პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
|---|
| პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.<br>უნივერსიტეტის მისიაა გაატაროს თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა და ასევე მოამზადოს ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრი.<br>ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: აღზარდოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სპეციალისტი, რომელსაც ექნება საბაზისო თეორიული განათლება, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ცოდნა, სურვილი და შესაძლებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში. სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს: ვაზის კულტურის და ღვინის დაყენების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და თანამედროვე სისტემები, ქართული და უცხოური მევენახეობა-მეღვინეობის ყველა ეტაპი მსოფლიოში უკვე დამკვიდრებული |

თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, რომელსაც ეწოდება „ღვინო მიწიდან მაგიდამდე"; აგრეთვე ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიის, ქვევრის დამზადების ტრადიციული და თანამედროვე, ინოვაციური მექანიზებული მეთოდების სწავლება.
მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ამგვარი მოდელის შექმნა სრულ თანხვედრაშია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიასთან, უნივერსიტეტს გააჩნია დიდი პოტენციალი, სწორი სტრატეგიის ამუშავების შემთხვევაში გახდეს ქვეყნისა და რეგიონის ლიდერი მევენახე-მეღვინე სპეციალისტების მომზადების საქმეში.
პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა, თითოეული სასწავლო კურსის შედეგები, კომპეტენციები, თეორიული კურსების და პრაქტიკების კანონზომიერი თანმიმდევრობა, პრაქტიკის ობიექტები და ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდიკები განსაზღვრავს პროგრამის ღირსებას და მის შესაბამისობას უნივერსიტეტის მისისთან. უნვერსიტეტში ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან შეხვედრის და კითხვარების გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია დამსაქმებლის მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე იყვნენ მოთხოვნადნი.
პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა, იგი მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს, რომელსაც თეორიულ ცოდნასთან ერთად ექნება პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ასეთი კურსდამთავრებულების მომზადება შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით ,,ქათული მევენახეობა-მეღვინეობა".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დაწესებულების მისია;
საგანმანათლებლოპროგრამა;
ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან;
ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

.რასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის სასურველი იქნება შეიქმნას დამოუკიდებელ მრჩეველთა საბჭო, რომელიც დროდადრო წარმოადგენს რჩევებს პროგრამის დახვეწასთან დაკავშირებით, როგორც სხვადასხვა საგნის, ასევე პროგრამის როგორც ერთიანის მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლები მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისკომპონენტის, კერძოდ სასწავლო კურსების (სავალდებულო, საუნივერისტეტო და საფაკულტეტო არჩევითი) განაწილება პროგრამაში, გათვლილი პრერეკვიზიტები და მათი მდებარეობა კურიკულუმში, სავალდებულო კომპონენტების 180 კრედიტი და მისი განაწილება კურიკულუმში, პრაქტიკის შინაარსი და მისი განხორციელების პერიოდი, სწავლებისმეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახულიმიზნებისადასწავლის შედეგების მიღწევას.
თუმცა პროგრამის გაუმჯობესობის მიზნით, სასურველია საგნობრივი (ქიმიის და ფიზიკის) დატვირთვის მიმართულებით გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მაღალ შედეგზე გაიყვანდა პროგრამის კურსდამთავრებულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფის ერთობლივი რჩევაა ქიმიის მიმართულებით გაძლიერდეს ლაბორატორიული სამუშაოები, კონკრეტულად ანალიზური ქიმიის ლაბორატორიის საათები გაიზარდოს მინიმუმ ერთი საათით.
- სასურველია ანალიზურ ქიმიას დაემატოს მას-სპექტრომეტრიის და ბირთვულ მაგნიტური

| |
|---|
| რეზონანსული სპექტროსკოპიის საფუძვლები.<br>○ სასურველია ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის საკითხების დამატება ანალიზური ქიმიის საგანში ან შესაძლებლობის შემთხვევაში ცალკე საგნად დამატება.<br>○ ვინაიდან ბევრი საბუნებისმეტყველო საგანი დგას ფიზიკის საფუძვლებზე, სასურველია ფიზიკის დამატება. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>წარმოდგენილ პროგრამა თანხვედრაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, პროგრამა შესაბამისობაშია სწავლის მიზნებსა და შედეგებთან. სწავლების მეთოდოლოგია აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეესაბამება მიზნებს, პროგრამაში წარმოდგენილი კომპონენტები ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები ადეკვატურია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერის, კომპონენტი დასკვნის უნარი წარმოდგენილია უზუსტობებით, და ზუსტდა ჩანაწერი დასკვნის უნართან დაკავშირებით, კერძოდ, ჩანაწერი ასეთი იყო: "კურსდამთავრებულს შეუძლია უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება", ექსპერტთა ჯგუფის რჩევის საფუძველზე შეიცვალა, დაკონკრეტდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: " კურსდამთავრებული შეძლებს სიტუაციების ანალიზს ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას". თუმცა აღნიშნული კომპონენტი დარღვეული სახით არ არის არცერთ სილაბუსში წარმოდგენილი. შესაბამისად წარმოდგენილი ყველა სილაბუსი შეესაბამება სტანდარტს, ზუსტად არის გადმოცემული კომპეტენციების შესაბამისობა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველ საფეხურთან. |

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  საგანმანათლებლო პროგრამა,
  სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამა, სასწავლო კურსები მათი პრერეკვიზიტების გათვალისწინებით, ასევე თავისუფალი კურსები და პრაქტიკები გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელებისას კურსდამთავრებული მიიღებს ცოდნას, რომელიც მას კონკურენტუნარიანს გახდის მინიმუმ ლოკალური დასაქმების ბაზრისათვის.

მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს ორი ფაქტი:

1. ლოკალურ დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში (დამსაქმებლებთან

| |
|---|
| შეხვედრისას გამოჩნდა, რომ მათი მოთხოვნები პოტენციური დასაქმებულისადმი თანხვედრაშია პროგრამით მინიჭებად ცოდნასთან), 2. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამა, აღნიშნული პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგენილ იქნა, რომ მათი ნაწილი პარალელურად დასაქმებულია მეღვინეობის მიმართულებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>საგანმანათლებლო პროგრამა,<br>სილაბუსები,<br>ინტერვიუ მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2015 წლიდან უნივერსიტეტი ახორციელებს ქართული მევენახეობა–მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამას, რომელზეც ამჟამად 25 სტუდენტი სწავლობს. ქართული მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული, თუმცა სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვებით გამოიკვეთა, რომ ამ პროგრამის შემუშავებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესში აკადემიურ,მოწვეულპერსონალთან დადამსაქმებლებთან ერთად ჩართულნი იყვნენ მაგისტრებიც. უნივერსიტეტმა მისცა სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება როგორც პროგრამასთან, ასევე პროგრამაში ჩართულ პროფესორ–მასწავლებლებთან დაკავშირებით.
აკადემიური და მოწვეულიპერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში. კრედიტებით განგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტულისასწავლო კურსისსპეციფიკა, შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასწავლად საჭირო რეალური დრო. თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფილია შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა.
რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმი. შექმნილია გამოკითხვის და პედაგოგთაშეფასების ფორმები.
დამსაქმებელთა ჩართულობა ხორციელდება როგორც ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში, ასევე პრაქტიკისორგანიზებით: ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტი იღებს რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ;
დამსაქმებლები თავიანთი რჩევებითა და რეკომენდაციებით ეხმარებიან უნივერსიტეტს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაში. დამსაქმებელთა უმრავლესობა უნივერსიტეტის პროფესორია და თავადაა ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ქართული მევენახება-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები;
პედაგოგთა შეფასების ფორმები;
ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
ინტერვიუ მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

თუ უნივერსიტეტში შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, სასურველია მასში წარმოდგენილი იყოს მოწინავე ქვეყნების ექსპერტები, როგორც აკადემიური სფეროდან, ასევე ინდუსტრიიდან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ქართული მევენახეობა–მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოვლენილი შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 52).

შესაბამისად საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

საგანმანათლებლო პროგრამა.
(საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 52

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგები მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის პროცესში გამოიყენება ისეთი მეთოდები, რომელთა ერთობლიობაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ეს მეთოდებია:

ლექცია, ჯგუფში მუშაობის ვერბალური და წერითი მეთოდი, პრაქტიკული სწავლის (დისკუსია-დებატები, ჯგუფური **(collaborative)** მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება **(PBL)**, თანამშრომლობითი სწავლება **(cooperative)**, შემთხვევის ანალიზი **(Case study)**, დემონსტრი-რების მეთოდები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმე-დებაზე ორიენტირებული სწავლება) მეთოდი.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა თითოეული მეთოდის მნიშვნელობა შესაბამისი შედეგის მისაღწევად.

- 

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

საგანმანათლებლო პროგრამა;
შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები;
ინტერვიუ პედაგოგებთან და სტუდენტებთან;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. სტუდენტი ლოგიკური თანმიმდევრობით ეუფლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს.

სასწავლო კურსებს სწორად აქვს განსაზღვრული პრერეკვიზიტები, რომელიც სემესტრების მიხედვით განლაგებულია გარკვეული კანონზომიერებით. სილაბუსებში ასახულია თითოეული საგნის შესწავლის წინაპირობა და მითითებულია სასწავლო კურსი, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული კურსის სრულყოფილად შესწავლას. პრაქტიკას სტუდენტი გაივლის მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ათვისებული ექნება სპეციალობის სასწავლო კურსები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

საგანმანათლებლო პროგრამა;
შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები.
ინტერვიუ დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| ○ |
|---|
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით |
|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>საბაკალავრო პროგრამაზე ,,ქართული მევენახეობა-მეღვინეობა“ სწავლის შედეგების შეფასება ხდება ”უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.<br>უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთაშეფასების 100-ქულიანისისტემა.<br>სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოოშეფასებაითვალისწინებსშუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.<br>ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ–ლაბორატორიულ მეცდინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციითდა ა.შ.<br>სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>”უმაღლესი საგანმანათლლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;<br>უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;<br>საგანმანათლებლო პროგრამა;<br>შესაბამისი სილაბუსები.<br>ინტერიუები სტუდენტებთან და პედაგოგებთან. |

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქართული მევენახეობა-მეღვინეობა" სტუდენტის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3, 05.01.07 ბრძანებას და გაწერილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. უკუგება უზრუნველყოფილი იქნება მას შემდეგ, რაც პროფესორი გაეცნობა სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც მასაძლევს საკუთარი ნაკლოვანებებისა

და გაუმჯობესების გზების გააზრების შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტისთვის გამჭვირვალეა ინფორმაცია მისი შუალედური შეფასებების შესახებ, ამიტომ მან ზუსტად იცის თავისი ნაკლოვანებების თაობაზე და საბოლოო შეფასების მიღებამდე სასწავლო კურსის პროფესორისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დახმარებით სახავს გზებს აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

"უმაღლესი საგანმანათლლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსების სილაბუსები;

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, „გონი";

ინტერვიუ პედაგოგებთან;

ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

| |
|---|
| 3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>სტუდენტი უზრუნველყოფილია სათანადო ინფორმაციით, რომელიც ხელს უწყობს მის ჩართულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კურიკულუმის შემუშავებაში. ასევე თითოეული საგნის ფარგლებში გამოყოფილია ინდივიდუალური საკონტაქტო საათები, რის საშუალებითაც სტუდენტი იღებს პროფესიული მიღწევებისთვის საჭირო რესურსებს და ინფორმაციას. უნივერსიტეტში მუშაობს კარიერული განვითარების ცენტრი, სადაც მომუშავე გუნდის ნაწილი ამავე უნივერსიტეტის სტუდენტია. კარიერული განვითარების ცენტრის ბაზაზე განხორციელებული დასაქმების ფორუმები ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებასა და მათი ჩართულობის გაზრდას სასწავლო პროცესში. ინტერვიუზე მყოფი მაგისტრატურის სტუდენტების ნაწილმა და აწ უკვე კურსდამტავრებულებმა ერთხმად აღნიშნეს მათი ჩართულობა და გაწეული კონსულტაციები პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე. |
